TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

03.10.2018

გაცემის თარიღი

02.10.2018

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : სს "თელასი" 202052580

წარმოების საფუძველი : განცხადება № QN1633616

გასაჩივრების წესი : გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საგენტოს გადაწყვეტილება №QN1633616

1. ეთქვას უარი განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთა მიერ ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხაზობრივი ნაგებობის განთავსება ხდება რამიშვილის ქუჩის გამოყენებით, რაც არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან გამოსაყენებელი ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურა არის ახალი მოწყობილი. შესაბამისად, ალტერნატიული პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის თანახმად ხაზობრივი ნაგებობის მონტაჟი განხორციელდება ახალმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურის დაუზიანებლად, საკითხი განხილულ იქნება ხელახლა.
2. განმცხადებელს სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემისთვის გადახდილი საფასური დაუბრუნდეს პირველი მოთხოვნისთანავე, უარყოფითი გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის განმავლობაში სააგენტოსთვის მომართვის შემთხვევაში.

საფუძველი:

"ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის



CL-942